ა(ა)იპ **დემოკრატიის ინდექსი – საქართველო**
ს/კ – 405337764
მის: თბილისი, ზესიკის ქ. N4 , 0105

+995 577 07 05 77
democracyindexgeorgia@gmail.com
@DemocracyIndex

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,

ბატონ არჩილ თალაკვაძეს,

საქართველოს პარლამენტის

ადამიანის უფლებათა დაცვისა და

სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს,

ქალბატონ სოფიო კილაძეს

განცხადება

საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით პარლამენტისათვის წარდგენილ ანგარიშებში ასახული ინფორმაციის შესახებ

ბატონო არჩილ,

ქალბატონო სოფიო,

წარმოგიდგენთ საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით პარლამენტისათვის წარდგენილი ანგარიშების და მათში ასახული ინფორმაციის შესახებ "დემოკრატიის ინდექსი - საქართველოს" განცხადებას, საქართველოს რეგლამენტის 177-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებაში წარმოდგენილია ორგანიზაციის ინტერესის შესაბამისად შერჩეული 75 საჯარო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შედეგად გამოვლენილი მიგნებები და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისკენ მიმართული რეკომენდაციები.

75 საჯარო დაწესებულება ორგანიზაციამ შეარჩია იმ საჯარო დაწესებულებების მიხედვით, რომელბსაც პირველადი დატვირთვა აქვს ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში. შესწავლილი საჯარო დაწესებულებების სრული სია წარმოდგენილია დანართში, რომელიც თან ახლავს წინამდებარე განცხადებას[1].

[1] იხ. დანართი 11 ფურცლად

გამოვლენილი ტენდენციები

საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ანგარიშების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია არ მოიცავს ყველა იმ პუნქტით დადგენილ მონაცემს, რომლებიც განსაზღვრულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლში. არსებობს სრულყოფილად წარმოდგენილი ანგარიშებიც რამდენიმე დაწესებულების მიერ, თუმცა, პროცენტულად ასეთი მონაცემები 75 ორგანიზაციის ფონზე ძალიან მცირეა.

ანგარიშები არ შეიცავს წინა წლებთან შედარებით ანალიზს მონაცემების შეჯამების დროს და ამით ანალიტიკური კომპონენტი წარმოდგენილ ანგარიშებში ძალიან მწირია, რაც ამ მიმართულებით უწყებების საქმიანობის პროგრესს ვერ ასახავს.

უფრო დაკონკრეტებული მონაცემები, წარმოდგენილი 75 საჯარო დაწესებულების ანგარიშის შესწავლის შედეგების მიხედვით, ასე გამოიყურება:

დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ანგარიში შეიცავს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, რომლებზე ინფორმაციის წარდგენასაც არ ითვალისწინებს სზაკ-ის 49-ე მუხლი, თუმცა, ძალიან ნათელი და აღქმადი ხდება წლის განმავლობაში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ტიპები ამ დაწესებულებებში. კერძოდ, ზოგ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია არა მხოლოდ განცხადებათა საერთო რაოდენობის შესახებ, არამედ, აგრეთვე, კატეგორიზებულია, ვის მიერ, რამდენ შემთხვევაში და რა საკითხებზე იყო წარდგენილი განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების ანგარიშები. მიზანშეწონილია ამ კრიტერიუმზე ინფორმაციის ანგარიშში შეტანა სავალდებულო გახდეს ყველა საჯარო დაწესებულებისთვის.

სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე ინფორმაცია მოცემული იყო კვლევით ნაწილში მითითებული 75 ანგარიშიდან მხოლოდ 7 მათგანში: თავდაცვის, იუსტიციის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, საპენსიო სააგენტოს, პენიტენციური სამსახურის და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშებში.

კვლევით ნაწილში მითითებული 75 საჯარო დაწესებულებიდან 6 დაწესებულებას ვადის დარღვევით ჰქონდა წარდგენილი ანგარიში[2].

კვლევით ნაწილში მითითებული 75 საჯარო დაწესებულების ანგარიშებიდან 59 მათგანში არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტზე, კერძოდ, ინფორმაცია „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ." აღსანიშნავია, რომ ამ ქვეპუნქტზე ინფორმაციის ანგარიშებში ყველაზე იშვიათად ასახვის პრობლემაზე ხაზი გასმული იყო ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო

[2] 1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - წარადგინა 11 დეკემბერს, ვადას გადააცილა 1 დღით; 2. სახელმწიფო ქონების სააგენტო - წარადგინა 16 დეკემბერს, ვადას გადააცილა 6 დღით; 3. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო - წარადგინა 27 დეკემბერს, ვადას გადააცილა 17 დღის დაგვიანებით; 4. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი; წარადგინა 16 იანვარს, ვადას გადააცილა 37 დღით; 5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - წარადგინა 17 დეკემბერს, ვადას გადააცილა 7 დღით; 6. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სამსახური - წარადგინა 12 დეკემბერს, ვადას გადააცილა 2 დღით.

ინტეგრაციის კომიტეტის გასული წლის დასკვნაშიც [3] და გაცემული იყო შესაბამისი რეკომენდაციაც, თუმცა, როგორც ჩანს, ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა.

ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ანგარიშში (თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ანგარიშები) თემატურად არის დაჯგუფებული განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაციები. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ითქვას, რომ საჯარო დაწესებულებებს შეუძლიათ იდენტიფიცირება იმ ინფორმაციებისა, რომლებიც ყველაზე ხშირად არის ინტერესის საგანი. შესაბამისად, ერთი მხრივ, ამ ინტერესის უფრო სწრაფად დასაკმაყოფილებლად და, მეორე მხრივ, საჯარო დაწესებულების ადამიანური და ფინანსური რესურსების დასაზოგად უფრო რაციონალური იქნებოდა „მოთხოვნადი" ინფორმაციების იდენტიფიცირება და საჯარო დაწესებულებების მხრიდან მათი პროაქტიულად გამოქვეყნება.[4] მსგავსი რეკომენდაცია საჯარო დაწესებულებების მიმართ იყო გაცემული ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ გასულ წელსაც.[5]

კვლევით ნაწილში მითითებული 75 საჯარო დაწესებულებიდან კოლეგიური საჯარო დაწესებულება იყო 12 (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, აჭარის ა/რ მთავრობა, ეროვნული ბანკი, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ცენტრალური საარჩევნო კომისია, აჭარის ა/რ უმაღლესი საარჩევნო კომისია, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, საქართველოს მთავრობა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო). ამათგან 5 კოლეგიური საჯარო დაწესებულებას ანგარიშებში არ მიუთითებია სხდომის დახურვის ან/და დახურვის საფუძვლების თაობაზე (ეროვნულ ბანკს, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიას, აფხაზეთის ა/რ მთავრობას და აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოს). დანარჩენებიდან მხოლოდ ორმა მიიღო დახურვის შესახებ გადაწყვეტილებები და მითითებულია ამის შესხებ მათ ანგარიშებში (იუსტიციის უმაღლესი საბჭო და იუსტიციის უმაღლესი სკოლა).

აღსანიშნავია, რომ რადგან სზაკ-ის 49-ე მუხლი არ განსაზღვრავს ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას იმის შესახებ, გასაჩივრდა თუ არა კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ეს მონაცემი არაა ასახული ზემოხსენებულ 2 ანგარიშში, ვისაც მითითებული ჰქონდა დახურვის შესახებ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია. ამავე დროს, სზაკ-ის 49-ე მუხლი ავალდებულებს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას, ანგარიშში ასახოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რა ხარჯი გასწია კოლეგიურმა საჯარო დაწესებულებამ სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, რაც, ერთი მხრივ, ქმნის გაუმჭვირვალობის ლეგალურ

---

[3] *საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა #2-11313/19, 14.06.2019, shorturl.at/hxEG1 [06.05.2020 14:58].*

[4] *ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ", მუხლი 2, პუნქტი 2.*

[5] *იხ. სქოლიო 3.*

შესაძლებლობას და კითხვის ნიშნებს აჩენს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომათა დახურვის ლეგიტიმურობის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ნორმა არის არაერთგვაროვანი: სზაკ-ის 49-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულებას, ანგარიშში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, მაგრამ არ განსაზღვრავს ასეთივე ვალდებულებას კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართ.

საერთო სასამართლოების მიერ წარდგენილ ანგარიშებში (თბილისის, რუსთავის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების ანგარიშები) ჩანს, რომ სასამართლოები უარს ამბობენ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შემდეგი მოტივებით: ა) გადაწყვეტილებათა დამუშავება მოითხოვს სასამართლოს განკარგულებაში არსებული ადამიანური რესურსის არაგონივრულ გადანაწილებას და აბრკოლებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს; ბ) ინფორმაცია შეიცავდა მხარეთა პერსონალურ მონაცემებს, საჭირო იყო სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი რესურსების მობილიზება (ამ საფუძვლით თბილისის საქალაქო სასამართლომ 620 განცხადებიდან 200 შემთხვევაში თქვა უარი ინფორმაციის გაცემაზე).[6] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ანგარიშში კი ვხვდებით ასეთ მითითებას _ „უმრავლეს შემთხვევაში მოთხოვნილი იყო ისეთი ინფორმაცია, რომელზეც სასამართლო სტატისტიკურ მონაცემებს არ ამუშავებდა, რის გამოც სასამართლოს გადაწყვეტილებების დამუშავება (დეპერსონალიზაცია/დაშტრიხვა) და სტატისტიკური მონაცემების შედგენა ხდებოდა მოთხოვნის შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე."

აუცილებელია, გამოირკვეს, აქვს თუ არა სასამართლოების მიერ ზემოთ მითითებულ მიზეზებს რეალური საფუძველი, ნამდვილად არის თუ არა მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება დაკავშირებული ისეთი კოლოსალური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან, რომ შესაძლებელი იყო საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების დაძლევა სასამართლოს ორგანიზაციული ფუნქციონირების ინტერესით. აღნიშნული აუცილებელია, რათა აღმოიფხვრას საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა და გარანტირებული იყოს კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

საჯარო დაწესებულებები ანგარიშის წარსადგენად იყენებენ თავად მათ მიერვე შემუშავებულ ფორმას ან ამგვარი ფორმის გარეშე თხრობითი ფორმით გადმოსცემენ ინფორმაციას სზაკ-ის 49-ე მუხლში მოთხოვნილ ქვეპუნქტებზე, რაც იწვევს ანგარიშთა არაერთგვაროვნებას ან/და ანგარიშებში ინფორმაციის არასრულად, არასისტემატიზებულად ასახვას (იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა მკითხველს უწევს სზაკ-ის 49-ე მუხლის კონკრეტულ ქვეპუნქტზე ინფორმაცია ამოიკითხოს მთელი ტექსტიდან და არა უშუალოდ ამ ქვეპუნქტზე ინფორმაციის გამოტანით). ამ პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია კომიტეტის მიერ ანგარიშის ერთიანი ფორმის შემუშავებით. აღნიშნული გაადვილებს როგორც შეფასებასა და ანგარიშებით მოწოდებული მონაცემების დამუშავებას, ისე თავად საჯარო დაწესებულებებსაც გაუმარტივებდა ყველა აუცილებელი და წარსადგენი მონაცემის შეგროვებას. სანიმუშოდ შესაძლებელია, გამოყენებული იყოს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" მიერ შემუშავებული ფორმა.[7]

---

[6] *მსგავსი პრობლემა აღწერილია საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშშიც „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2017 წელი, გვ. 174-177,* shorturl.at/lpF13 [06.05.2020 18:16].

[7] *ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" მიერ შემუშავებული 10 დეკემბრის ანგარიშის ფორმა,* shorturl.at/aeKX2 [06.05.2020 16:05].

რეკომენდაციები

1. საქართველოს პარლამენტმა შეიტანოს დამატებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლში:

- დაზუსტდეს თუ რა სახის ინფორმაციის შეტანის ვალდებულება აქვს საჯარო დაწესებულებას ანგარიშში, კონკრეტულად:
    - დაემატოს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან კოლეგიური ორგანოს სხდომის დახურვის კონკრეტული სამართლებრივი ნორმის, მისი სუბსუმციისა და სხვა დასაბუთების შესახებ ინფორმაცია;
    - განისაზღვროს ანგარიშში მოცემული ინფორმაციების კონკრეტული საანგარიშო პერიოდი;
    - ჩაემატოს წინა წლების შიდარებითი ანალიზის შესახებ ინფორმაცია

2. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა:
    - საჯარო დაწესებულებების ანგარიშებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია გაანალიზოს და შეიტანოს პარლამენტისთვის წარსადგენ დასკვნაში;
    - სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარმოსადგენად საჯარო დაწესებულებებისთვის შეიმუშავოს ერთიანი ანგარიშის ფორმა და მისი გამოყენების რეკომენდაცია გასცეს ყველა საჯარო დაწესებულების მიმართ;
    - შეიმუშავოს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წარმოდგენილი რეკომენდაციები;
    - დაინტერესდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლიანობით ისეთ შემთხვევებში, როდესაც განცხადებით მოთხოვნილი გადაწყვეტილებ(ებ)ის ასლ(ებ)ის გაცემაზე უარის მოტივად სასამართლოებს ანგარიშებში მითითებული აქვთ შემდეგი – „ინფორმაცია შეიცავდა მხარეთა პერსონალურ მონაცემებს, საჭირო იყო სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი რესურსების მობილიზება;
    - დამატებით გამოითხოვოს და გაანალიზოს სასამართლო გადაწყვეტილებები 2019 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით;
    - ანგარიშის მიხედვით წამოჭრილი პრობლემების ან კითხვების შემთხვევაში საჯარო სხდომაზე დაიბაროს და დაუსვას კითხვები საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს;
    - გამოაქვეყნოს იმ კანონდამრღვევი საჯარო დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც სზაკ-ით დადგენილ ვადაში არ წარუდგენენ პარლამენტს ანგარიშს.

ეკატერინე ციმაკურიძე

თავმჯდომარე

დანართი (11 ფურცელი)

შესწავლის შედეგები კონკრეტული უწყებების მიხედვით

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ზ“ ქვეპუნქტისა _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზების ... შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
5. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ზ“ ქვეპუნქტისა _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
7. საქართველოს პროკურატურა _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „ა“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ;“ „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
8. იუსტიციის უმაღლესი საბჭო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზების ... შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ

შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 5 დეკემბერს.

9. სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზების ... შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

10. ამბროლაურის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს.

11. ახალქალაქის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს.

12. ახალციხის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა _ ინფორმაცია „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს.

13. ბოლნისის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

14. გალი-გულრიფშის და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლის შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „დ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;“ „ვ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.“ანგარიშში დეტალურად არის წარმოდგენილი იმ განცხადებათა შინაარსი, რომლებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზეც უარი ითქვა, მითითებულია შესაბამისი დასაბუთებაც. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.

15. გორის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო

მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;" „ზ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ." ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

16. გურჯაანის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ" ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;" „ზ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ." ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

17. ზესტაფონის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „გ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;" „ზ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ." ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.

18. ზუგდიდის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;" „ზ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ." ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 3 დეკემბერს.

19. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ზ" ქვეპუნქტისა _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ." ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

20. თელავის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ" ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;" „ე" ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;" „ზ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის

სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 2 დეკემბერს.

21. მცხეთის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.

22. ოზურგეთის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს.

23. სამტრედიის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 4 დეკემბერს.

24. საჩხერის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.

25. სენაკის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 4 დეკემბერს.

26. სიღნაღის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო

დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;" „ე" ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;" „ზ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ". ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.

27. ცაგერის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ" ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;" „ე" ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;" „ზ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ." ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 4 დეკემბერს.

28. ხაშურის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არააა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „ე" ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;" „ზ" ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ." ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს.

29. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ" ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;" „ე" ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას." ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს.

30. თბილისის სააპელაციო სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ბ" ქვეპუნქტისა _ ინფორმაცია „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ... გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის ... შესახებ" (ანგარიშში მითითებულია შემდეგი: „გადაწყვეტილება ... მიიღებოდა ... სასამართლოს კომპეტენტური სტრუქტურული ერთეულების მოხელეების უშუალო მონაწილეობით"). ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

31. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

32. ბათუმის საქალაქო სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ" ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო

დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს.

33. თბილისის საქალაქო სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების ... სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას (ფაქტობრივ საფუძვლებზე არის მითითება ანგარიშში, საკანონმდებლო აქტებზე _ არა);“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან ... დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 4 დეკემბერს.

34. რუსთავის საქალაქო სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ ანგარიშში სრულად არაა ინფორმაცია წარმოდგენილი _ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას“ (ზოგ შემთხვევაში ანგარიშში მითითებულია მხოლოდ ფაქტობრივ საფუძვლებზე, ზოგ შემთხვევაში კი საკანონმდებლო აქტებზეც);“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.

35. ფოთის საქალაქო სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 5 დეკემბერს.

36. ქუთაისის საქალაქო სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების ... სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას (ფაქტობრივ საფუძვლებზე არის მითითება ანგარიშში, საკანონმდებლო აქტებზე _ არა);“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს.

37. საქართველოს უზენაესი სასამართლო _ ანგარიშში მოცემულია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ზ“ ქვეპუნქტისა _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
38. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტებზე: „ბ“ ქვეპუნქტი _ „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ... გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის ... შესახებ;“ „გ“ ქვეპუნქტი _ ინფორმაცია „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დარღვევით 2019 წლის 11 დეკემბერს.
39. საქართველოს ეროვნული ბანკი _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ბ“ ქვეპუნქტი _ „კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ“; „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა .... კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას“; „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს;
40. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტი _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ბ“ ქვეპუნქტისა _ „ ...მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს;
41. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ბ“ ქვეპუნქტისა _ „ ....მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის ... შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 6 დეკემბერს;
42. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ბ“ ქვეპუნქტი _ „...კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;“ „ა“ ქვეპუნქტი _ „საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობის შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს;
43. თბილისის მერია _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;“ „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ“. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს;
44. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ა“ ქვეპუნქტი _ „...საჯარო

ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობის შესახებ;“ „ბ“ ქვეპუნქტი _ მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ... მიღებულ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ;“ „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს;

45. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ბ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა ... კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;“ „გ“ ქვეპუნქტი _ „ ... პერსონალური მონაცემების ... სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
46. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა _ „ ... პერსონალური მონაცემების ... სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
47. აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „გ“ ქვეპუნქტი _ „ ... პერსონალური მონაცემების ... სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ბ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა ... კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს. (აღსანიშნავია, რომ ანგარიშში არ არის „სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ“ ინფორმაცია, რადგან ანგარიშის ნაწილის, სადაც წერია „სხდომის დახურვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია“, ამგვარი ფორმულირება არ იძლევა სზაკ-ით მოთხოვნილი ინფორმაციის დაკმაყოფილების შესაძლებლობას)
48. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო; _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა _ „ ... პერსონალური მონაცემების ... სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
49. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს. არის შესაბამისი გრაფა, მაგრამ ცარიელია
50. შსს დაცვის პოლიცია _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების ... შესახებ;“ „ა“ ქვეპუნქტი _ „საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ.“ ანგარიშში არ არის პარლამენტისთვის წარდგენის ვადა მითითებული

51. კონკურენციის სააგენტო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ბ“ ქვეპუნქტი _ „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ... მიღებული გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ;“ „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „დ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;“ „ე“ ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „ ... საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, დაკავშირებული ხარჯების შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.

52. სამედიცინო რეგულირების სააგენტო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ა“ ქვეპუნქტი _ „ ... საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ...;“ „ბ“ ქვეპუნქტი _ „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ...;“ „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.

53. საპენსიო სააგენტო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

54. სახელმწიფო ქონების სააგენტო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა _ „... საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დარღვევით 2019 წლის 16 დეკემბერს.

55. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ა“ ქვეპუნქტი _ საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა (სრული რაოდენობა) შესახებ; „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ;“ „დ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

56. საჯარო რეესტრის სააგენტო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა „...პერსონალური ინფორმაციის .... სხვისთვის გადაცემის შესახებ“. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

57. სოციალური მომსახურების სააგენტო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ა“ ქვეპუნქტი „საჯარო დაწესებულებაში შესული ... საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის

შესახებ;“ „ვ“ ქვეპუნქტი _ „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ;“ ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

58. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა „...პერსონალური ინფორმაციის .... სხვისთვის გადაცემის შესახებ“. ანგარიში წარმოდგენილია ვადის დარღვევით 2019 წლის 27 დეკემბერს.

59. შსს მომსახურების სააგენტო _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ა“ ქვეპუნქტი „...საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ...;“ „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზების... შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ... გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.“ ანგარიშში არ არის პარლამენტისთვის წარდგენის ვადა მითითებული

60. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „გ“ ქვეპუნქტი _ „...საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის შესახებ; „ზ“ ქვეპუნქტი _ საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან .... დაკავშირებული ხარჯების შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დარღვევით 2020 წლის 16 იანვარს.

61. იურიდიული დახმარების სამსახური _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა „...პერსონალური ინფორმაციის .... სხვისთვის გადაცემის შესახებ“. ანგარიში წარმოდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

62. პენიტენციური სამსახური _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

63. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ა“ ქვეპუნქტი _ „...საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ...;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან .... დაკავშირებული ხარჯების შესახებ.“ ანგარიშში არ არის პარლამენტისთვის წარდგენის ვადა მითითებული.

64. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ბ“ ქვეპუნქტისა „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ... მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დარღვევით 2019 წლის 17 დეკემბერს.

65. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სამსახური _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ზ“ ქვეპუნქტისა _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დარღვევით 2019 წლის 12 დეკემბერს.

66. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ბ“ ქვეპუნქტისა _ „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ... მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
67. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე. ანგარიში წარდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
68. საქართველოს სახალხო დამცველი _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა _ „ ... პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ.“
69. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ზ“ ქვეპუნქტისა _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
70. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „გ“ ქვეპუნქტისა _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ“
71. აწარმოე საქართველოში _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ა“ ქვეპუნქტი _ „...საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ...;“ „ბ“ ქვეპუნქტი „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ... მიღებულ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ;“ „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან ... დაკავშირებული ხარჯების შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
72. საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენი _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „გ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;“ „ზ“ ქვეპუნქტი _ „საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.
73. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია _ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ქვეპუნქტზე, გარდა „ვ“ ქვეპუნქტისა _ მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ... მიღებულ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ.“ ანგარიში წარმოდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 9 დეკემბერს.
74. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ბ“ ქვეპუნქტი _ „მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ...

მიღებულ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ. "კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ; „ე" ქვეპუნქტი _ „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა ... კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;" „დ" ქვეპუნქტი _ „საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ." ანგარიში წარმოდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.

75. საქართველოს მთავრობა _ ანგარიშში მოცემული არაა ინფორმაცია სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპუნქტზე: „ა" _ „საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობის შესახებ;" „ბ" ქვეპუნქტი _ მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ ... გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ." „გ" ქვეპუნქტი _ „ ... პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის შესახებ." ანგარიში წარმოდგენილია ვადის დაცვით 2019 წლის 10 დეკემბერს.